შპს კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ტურიზმის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ტურიზმი
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Tourism
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	1015
ქართულად:	ტურიზმის ბაკალავრი
ინგლისურად:	Bachelor in Tourism
პროგრამის დამტკიცების თარიღი	საბაკალავრო პროგრამა დამტკიცებულია კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2011 წლის 28 ივნისის № 01/05 - 127 ბრძანებით.
პროგრამის განახლების თარიღი	2013 წლის 27 აპრილის ბრძანება №01/01–13, 2014 წლის 27 მარტის ბრძანება №01/01–46; 2014 წლის 15 სექტემბერს №01/01–87 ბრძანება; 2019 წლის 18 იანვრის №01/01-08 ბრძანება; 2025 წლის 10 დეკემბრის ბრძანება N01/01-103; 2026 წლის 1 მაისის ბრძანება 01/01-42.
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი თეიმურაზ ხუციშვილი; კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ლევან წიქარიშვილი.
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 ECTS კრედიტს, სემესტრში – 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა ტურიზმის სკოლის სტუ-დენტებისთვის 3 აკადემიურ წელს შეადგენს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით: საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრები. სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის მზადებას, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათს).

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შემდეგია:

- ✓ **სავალდებულო სასწავლო კურსები** - 160 ECTS კრედიტი: მათ შორის საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები 55 ECTS კრედიტი, სადაც 40 ECTS კრედიტი ეთმობა უცხო ენების მოდულს (მე-2 უცხო ენის სწავლება, მათ შორის ერთ-ერთი არის ინგლისური ენა);
- ✓ **დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები** - 105 ECTS კრედიტი: მათ შორის 10 ECTS კრედიტი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომს;
- ✓ **დარგობრივი არჩევითი/სავალდებულო სასწავლო კურსები** - 20 ECTS კრედიტი, რომელიც სტუდენტმა უნდა აირჩიოს პროგრამით შემოთავაზებული 55 ECTS

კრედიტიდან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა აითვისოს მაქსიმუმ 5 ECTS კრედიტი არჩევითი სტატუსის მქონე სასწავლო კურსების ჩანაცვლების ან/და თავისუფალი კრედიტების ხარჯზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.
ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	პროგრამის მიზანია სტუდენტს: • გამოუმუშავოს დარგობრივი კომპეტენციები ტურიზმში, მისცეს პროფესიისათვის საჭირო ცოდნა და განუვითაროს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული უნარები; • მისცეს ცოდნა და დარგობრივი უნარები, რაც მისცემს საშუალებას ჩაერთოს ტურისტულ ბიზნესში, დასაქმდეს ტურიზმის მიმართულებით როგორც კერძო, ასევე საჯარო ორგანიზაციებში; • გამოუმუშავოს ტურიზმის მიმართულებით პროექტების მართვის უნარი; გააცნოს ქვეყნის ტურისტული პოტენციალი და რესურსები; • მისცეს ცოდნა განსაზღვროს ტურისტული პროდუქტის განვითარების ძირითადი პრინციპები, შეაფასოს და გააანალიზოს საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრების ტურიზმის პოლიტიკის არსებული მდგომარეობა. პროგრამის კურიკულუმი ფარავს როგორც ტურიზმის დარგის სასწავლო კურსებს, ისე ზოგად საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებს. დარგობრივი მოდული ასევე მოიცავს ტურიზმის მენეჯმენტის სასწავლო კურსებს, რითაც უზრუნველყოფს ტურიზმის სფეროში, როგორც დარგობრივი სპეციალისტების, ასევე მენეჯერების პოზიციების დაკავებას.
პროგრამის სწავლის შედეგები	ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა შემუშავებულ იქნა ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში არსებული პროგრამების მიხედვით და მათი გამოცდილების გაზიარებით. შესაბამისად, ეს პროგრამა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არის შექმნილი და იძლევა სიღრმისეულ მაღალხარისხიან განათლებას ტურიზმის სფეროში დარგობრივი აკადემიური და პრაქტიკული ცოდნის გათვალისწინებით. პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შემდეგი შედეგები, მათი შეფასების ინდიკატორების მიხედვით: • **აჩვენებს ტურიზმის სფეროში არსებულ უნარებს და შესაბამისი კომპონენტების საფუძვლიან ცოდნას** **შეფასების ინდიკატორები:** • ამზადებს საჭირო მასალებს და აანალიზებს მას; • ეფექტურად მართავს სასწავლო რესურსებს დროსა და სივრცეში; • ახდენს საჭირო ჩანაწერებისა და ჩანიშვნების ორგანიზებას და მათ ეფექტურ გამოყენებას; • გეგმავს და წარმართავს საკუთარ სასწავლო პროცესს. • იცავს საკუთარი და სხვების პროფესიულ განვითარებას, კორპორაციულ ეთიკურ ნორმებს; • პრაქტიკაში იყენებს ზეპირ და/ან წერილობით კომუნიკაციას ქართულ და/ან უცხო ენაზე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით; • აანალიზებს ტურიზმის ინდუსტრიის, როგორც კერძო, ასვე საჯარო ორგანიზაციების მართვის ძირითად პრინციპებისა და მიმართულებების გამოყენება საქართველოს და საერთაშორისო მაგალითზე; • მსჯელობს ტურიზმის სექტორში არსებული პრობლემების და

	მათი გადაჭრის გზების შესახებ. • **მიმოიხილავს ტურიზმის ინდუსტრიის მართვის ძირითად თეორიებს და კონცეფციებს** **შეფასების ინდიკატორები:** • განიხილავს ტურიზმის ინდუსტრიის ძირითად კომპონენტებს და მათ ურთიერთდამოკიდებულებას; • აანალიზებს ტურიზმის ინდუსტრიის მართვის პროცესს; • პოულობს ტურიზმის ინდუსტრიის არსს, აანალიზებს და ფორმულირებას უკეთებს მის ძირითადს ცნებებს; • განაზოგადებს ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული სფეროების კონცეფციებს, პრინციპებს და თეორიებს; • აღწერს მდგრადი და ეფექტიანი ტურისტული სერვისების შემუშავების, განხორციელებისა და მართვის თავისებურებებს ტურიზმში. • **ჰქმნის და განავითარებს პროექტებსა და ბიზნეს გეგმებს ტურიზმის სფეროში** **შეფასების ინდიკატორები:** • ჰქმნის პროექტსა და ბიზნეს გეგმას, ამუშავებს და აანალიზებს საჭირო მასალებს; • ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად აკეთებს ტურიზმთან დაკავშირებულ კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტების/ნაშრომების მონახაზს; • ახდენს პროექტის იდეის მიზნისა და ამოცანების განსაზღვრას და აანალიზებს შედეგებს; • ახდენს საჭირო პარტნიორების მოძიებას და მათთან საქმიანი ურთიერთობის წარმართვას. • **აფასებს ტურიზმის პოლიტიკისა და ეკონომიკის არსებულ მდგომარეობას და გეგმავს ტურიზმის პოლიტიკას ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე** **შეფასების ინდიკატორები:** • მიმოიხილავს და გამოარჩევს საჯარო და კერძო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის თავისებურებებს და ტურიზმის მიმართულებით არსებული ორგანიზაციების საქმიანობის ძირითად ფორმებს; • აფასებს ტურიზმის წილს ეკონომიკაში და აანალიზებს მის სამომავლო პროცესებს; • განსაზღვრავს ტურიზმის პოლიტიკის პრიორიტეტებს და აკეთებს შედარებით ანალიზს ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე; • განსაზღვრავს ტურიზმის პოლიტიკას და აანალიზებს მის როლს სახელმწიფოს განვითარებაში; • განიხილავს ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ და ეთიკურ საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ტურიზმის სფეროს. • **იკვლევს და აანალიზებს ტურიზმის საერთაშორისო ბაზრებს, მის მარკეტინგულ სტრატეგიას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე** **შეფასების ინდიკატორები:** • აყალიბებს ტურისტულ მიმართულებს და ახდენს

	სტრატეგიულ მიდგომებს საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებთან მიმართებაში; • გეგმავს ტურისტული მიმართულების სტრატეგიის მეთოდოლოგიას და აყალიბებს მის განხორციელების საშუალებებს; • მიმოიხილავს ტურიზმის მარკეტინგულ სტრატეგიას. • **მიმოიხილავს საქართველოს ტურისტული რესურსებს. აფასებს და აანალიზებს მათ მდგომარეობას** **შეფასების ინდიკატორები:** • გამოარჩევს საქართველოს ტურისტული რესურსების მახასიათებლებს; • ახდენს საქართველოს ტურისტული რესურსების კლასიფიცირებას; • განსაზღვრავს საქართველოს ტურისტული რესურსების განვითარებისა და გამოყენების პერსპექტივებს. • **მართავს ტურისტულ კომპანიას და გეგმავს ტურებს** **შეფასების ინდიკატორები:** • ახდენს ტურისტული კომპანიის მართვის პრინციპების ფორმულირებას; განარჩევს ტურისტული ორგანიზაციების სახეებს, მათ საქმიანობას და ამოცანებს; • გეგმავს და მართავს ტურისტულ ბაზარს; განარჩევს საერთაშორისო მოგზაურობის მახასიათებლებს; • იყენებს აპრობირებულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს ტურისტული საქმიანობის მართვისას; • აღწერს, გეგმავს და მართავს ტურისტულ მარშრუტებს; • ადგენს და ამოწმებს ხელშეკრულების ფორმებს პარტნიორებთან; • აანალიზებს ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკას და საგადასახადო შეღავათების საკითხებს. • **მართავს სასტუმრო ბიზნესს და ახდენს მის დივერსიფიცირებას** **შეფასების ინდიკატორები:** • მართავს სასტუმრო ბიზნესს მისი სპეციფიკის გათვალისწინებით; • ახდენს ბაზრის სტატისტიკურ ანალიზს; • აწარმოებს პარტნიორებთან ურთიერთობას, ვალდებულებების გათვალისწინებით; • ახდენს სასტუმროს კატეგორიზაციას; • გეგმავს სასტუმრო ბიზნესს.
დასაქმების სფეროები	ტურიზმის ინდუსტრია შედგება მრავალი სეგმენტისგან, რომელთა შორის ძირითადია: სატრანსპორტო, განთავსების საშუალებები, კვების ობიექტები, რეკრეაცია და გასართობი ინდუსტრია. ტურიზმი მრავალფეროვანი და კომპლექსურია, თითოეულ მიმართულებას მრავალი სამუშაო ადგილი და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა აქვს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორშიც. ტურიზმის სფეროს განვითარებასთან და მოთხოვნის ზრდასთან ერთად იზრდება მიწოდებაც ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მხრივ. მნიშვნელოვანია კვალიფიციური და გამოცდილი ადამიანური რესურსები, თუმცა, უმთავრეს გამოწვევას სწორად მცოდნე და მრავალფეროვანი უნარების მქონე კადრების

	ნაკლებობა წარმოადგენს. შესაბამისად, ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ხელს შეუწყობს ადამიანური რესურსების კვალიფიკაციისა და უნარების გაღრმავებას ტურიზმის სფეროში და ხელს შეუწყობს ამავე ინდუსტრიის გრძელვადიან განვითარებას. პროგრამის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს შემდეგ სტრუქტურებში: • საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; • აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი; • დაცული ტერიტორიების სააგენტო; • კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; • რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობითი ერთეულები; • ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები; • ტურისტული ადგილების მმართველი ორგანიზაციები; • სატრანსპორტო კომპანიები; • განთავსების საშუალებები; • ტურისტული კომპანიები; • რესტორნები და კვების ობიექტები; • გასართობი და ღონისძიებების ინდუსტრია; • ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული ასოციაციები; • ტურიზმის სფეროში არსებული საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ სააგენტოების მიმართულებები; • ტურიზმის სფეროს საგანმანათლებლო დაწესებულებები.
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	საბაკალავრო პროგრამის დამთავრების შემდეგ სტუდენტს შესაძლებლობა ექნება სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამებზე.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდურობა, გამჭვირვალობა.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზეა მიმართული. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები, რომლებიც ჯამურად შეადგენენ 70 ქულას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სტუდენტმა ყველა საგანში (გარდა პირველი კურსის და საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსებისა) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

პირველი კურსის სასსწავლო კურსებში და საუნივერსიტეტო არჩევით სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს მთელი რიგი სწავლების მეთოდების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში. პროფესორ-მასწავლებლებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ სხვადასხვა მოცემული ძირითადი მეთოდები და ასევე მოახდინონ ამ მეთოდთა შერწყმა. მოცემული ძირითადი მეთოდებია:

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **ჯგუფური** (collaborative) **მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
3. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
4. **ლექციაზე** თეორიული ცოდნის გადაცემასთან ერთად განიხილება კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს.
5. **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის

ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

6. **როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
7. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
8. **ელექტრონული სწავლება** (E-learning) – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს: დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.

   ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

   მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.
9. **საწარმოო პრაქტიკისათვის** აპრობირებული სწავლების მეთოდები.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები	

- 14 აკადემიური პერსონალი: 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ-პროფესორი
- 19 მოწვეული ლექტორი

პროგრამის სხვა რესურსები	

დაწესებულებები, რომლებთანაც პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი/ხელშეკრულება:

. გესთჰაუსი „მელაანიან ვინტიჯ“
. ეკოტურისტული მეურნეობა „თიგის სახლი“
. ტურისტული კომპანია „მიმინო კავკასიაში“
. ტურისტული კომპანია „აწუნთა“
. კომპანია „ჯიემეი ჯორჯია“
. შპს „პრაიმსერვისი“ (სასტუმრო Grigoelti Beach Resort, Trademark Collection by Wyndham)
. შპს „იპოცენტრი“ (სასტუმრო Holiday Inn Express Tbilisi Avlabari)
. შპს „სასტუმრო თელავი“ (სასტუმრო Holiday Inn Telavi)
. შპს „ქუთაისი ჰოტელ სერვისი“ (სასტუმრო Best Western Hotel Kutaisi)
. შპს „ჰოთელ ქოლექშენ ინთერნეშენალ - ჯორჯია“
. შპს „მაქრო ტურიზმი“ (სასტუმრო მერკური)
. შპს „ტურინვესტი“ (სასტუმრო ჰილტონ ბათუმი)
. სს „სტადიუმ ჰოტელი (სასტუმრო იბის თბილისი სტადიუმი)

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	

საბიბლიოთეკო რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის (სულ 23651 ერთეული ბეჭდური და 7186 ერთეული ელექტრონული წიგნი და სხვა სახის გამოცემა). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური 1 ასლგადამღები აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის 3 თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით:

- EBSCO HOST
- ScienceDirect
- Scopus
- Sci-val Funding (Funding Institutional)
- HeinOnline
- Taylor and Francis
- Math Scientific Publishing (MSP)-Journals"

სამეცნიერო ჟურნალები:

- Cambridge Journals Online
- e-Duke Journals Scholarly Collection
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books
- European Respiratory Journal
- IMechE Journals
- Mathematical Sciences Publishers Journals
- OpenEdition Journals
- Royal Society Journals Collection
- SAGE Journals
- The Company of Biologist's Journals

ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

მატერიალური რესურსები:

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-2018 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა სააკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. არის სასწავლო ფართი. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოიე, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის ბიზნესის სკოლას დამატებით აქვს სტარტაპ აქსელერატორისთვის გამოყოფილი ოთხები, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აღჭურვილობებით, როგორიცაა: VR ტექნოლოგია, სამონტაჟო მოწყობილობები, „Smart board“ და სხვა.

უნივერსიტეტს აქვს ელექტროენერგიის მიწოდების ეფექტური სისტემა, შენონაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარულ კვანძებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უზრუნველყოფილია მუდმივი განათებითა და ვენტილაციით. კავკასიის უნივერსტეტის ტერიტორია ადაპტირებულია შშმ პირებისთვის (პანდუსები, ლიფტები და სხვა). ყველა სასწავლო

ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე, ხელოვნური განათების შესაძლებლობა. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, უნივერსიტეტის ტერიტორიას იცავს დაცვის სამსახური "მაგისტრი", შიდა და გარე პერიმეტრზე უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია ვიდეოკამერები. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო, უსაფრთხოებისა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო რესურსები:

უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ლაბორატორია და კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. კომპიუტერები უზრუნველყოფილია შესაბამის პროგრამული ინსტრუმენტებით/აპლიკაციებით. აუდიტორიები და კომპიუტერული კლასები უზრუნველყოფილია ლოკალური ქსელით და ინტერნეტით.

სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაცის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

კავკასიის უნივერსიტეტი სადღეისოდ აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული საშუალებებით, ასლგადამღები აპარატურით (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის განახლება მოხდა 2018 წელს). ამჟამად უნივერსიტეტში A , B და C სართულებზე გაშვებულია რვა კომპიუტერული კლასი. ასეთი კლასები პერსონალური კომპიუტერით და მულტიმედია პროექტორებით არის დაკომპელქტებული. ასეთი პროექტორებით და კომპიუტერებით აღჭურვილია ყველა აუდიტორია და ბიბლიოთეკა. ადმინისტრაცია და პრაქტიკულად ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით და ინტერნეტთან წვდომით. უნივერსიტეტის საკომპიუტერო პარკი 380 ერთეულზე მეტს შეადგენს. ამას ემატება ორგტექნიკა პრინტერების და სკანერების სახით, 20 ე.წ. „Smart board", სწრაფქმედი (მაღალი წარმადობის) „კიოსერას" ფირმის ასლგადამღები აპარატები, აგრეთვე ფერადი ასლგადამღბი დანადგარი „HP MFD" - ტიპის. უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია WiFi, ასევე უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირი IP ტელეფონებით (რისთვისაც შეძენილია 130-ზე მეტი შესაბამისი ტელეფონი). უნივერსიტეტის სასერვეროში მოქმედებს ხუთი ერთეული თანამედროვე სერვერი, ხოლო მის ტერიტორიაზე დამონტაჟებულია შესაბამისი ქსელური აპარატურა („Cisco"-ს და "Aruba/HP"-ის სვიჩებით, Fortinet-ის NG Firewall-ით, wireless controller და access point-ებით, და ა.შ.), სულ 100-ზე მეტი ამგვარი მოწყობილობით. უნივერსიტეტი ჩართულია გარე ქსელში და აქვს ინტერნეტთან წვდომა გლობალური 400 მბ/წ ხოლო ლოკალური კავშირი 1 გბ/წ. ამასთან ერთად, საერეზერვო ინტერნეტ კავშირი 30 მბ/წ.

აღნიშნული რესურსი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია ხსენებული რესურსის გამოყენების შესაძლებლობისა და მოხმარების წესის შესახებ.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას განაპირობებს პროგრამის ბიუჯეტი. ბიუჯეტი ითვალისწინებს სტუდენტებისგან მისაღებ შემოსავალს და სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის საჭირო ყველა ხარჯს. ფინანსური გათვლები ეყრდნობა პროგრამის მიხედვით აღებულ მონაცემებს. მათ შორის არის: სწავლება-სწავლის ხარჯი, კვლევითი კომპონენტი, განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, აკრედიტაცია-ავტორიზაცია და ა.შ. უფრო დეტალურად:

- სწავლებისთვის საჭირო საკონტაქტო საათებს;
- სასწავლო საგნების რაოდენობას (ჩაშლილად სავალდებულო, არჩევითი, უცხო ენა);

- სალექციო საათების ანაზღაურებას;
- სწავლების პროცესში სტუდენტის მატერიალურ მხარდაჭერას;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხარჯს;
- პროგრამის განვითარება/აკრედიტაცია/ინტერნაციონალიზაციის ხარჯს;
- პროგრამის განხორციელების მანძილზე დასაშვებ გაუთვალისწინებელ ხარჯს.

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში თანხობრივად გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება სტუდენტთა მინიმალური რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში ხორციელდება ცვლილების შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტის კორექტირება.

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა ფინანსურად მდგრადია, ზემოთ ჩამოთვლილი ფინანსური რესურსის გამოყოფა სრულად არის მიღწევადი, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა ფინანსურ მხარდაჭერას იღებს კავკასიის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

			საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში **პროგრამის სასწავლო გეგმა**	სწავლებისწელი								
				I		II		III				
№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი								ECTS კრედიტი
				I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი			
			საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნები									**55**
			ინგლისური ენა: ზოგადი და პროფესიული									**20**
1.	**GENG 0001.31/ GENG 0003.31**	B2.0 დონეზე რეგისტრირდება ეროვნულ გამოცდებზე 71 ქულაზე მეტის მიღების შემთხვევაში. დანარჩენები B1.0	B1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი /B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	**2.5**								**2.5**
2.	**PENG 1170.31**		P1 პროფესიული ინგლისური ენა	**2.5**								**2.5**
3.	**GENG 0002.31/GENG 0004.31**	**GENG 0001.31/ GENG 0003.31**	B1 ინგლისური ენა ზოგადინაწილი /B2 ინგლისური ენაზოგადი ნაწილი		**2.5**							**2.5**
4.	**PENG 1270.31**	**PENG 1170.31**	P2 პროფესიული ინგლისური ენა		**2.5**							**2.5**
5.	**GENG 0003.31/GENG 0005.31**	**GENG 0002.31/GENG 0004.31**	B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი/C1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი			**2.5**						**2.5**
6.	**PENG 2170.31**	**PENG 1270.31**	P3 პროფესიული ინგლისური ენა			**2.5**						**2.5**
7.	**GENG 0004.31/GENG 0006.31**	**GENG 0003.31/GENG 0005.31**	B2 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი/C1 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი				**2.5**					**2.5**
8.	**PENG 2270.31**	**PENG 2170.31**	P4 პროფესიული ინგლისური ენა				**2.5**					**2.5**
9.	**CISS 1170.31**		კომპიუტერული უნარები	5								**5**

			უცხო ენა: გერმანული ან ფრანგული ან თურქული ან რუსული ან ესპანური ან იტალიური									**20**
10.	**GERM 0001.31, FREN 0001.31, TURK 0001.31, RUS 0001.31, ESP 0001.31, ITA 0001.31**	-	გერმანული ენა A 1.0, ფრანგული ენა A 1.0, თურქული ენა A 1.0, რუსული ენა A 1.0, ესპანური ენა A 1.0, იტალიური ენა A 1.0.	5								**5**
11.	**GERM 0002.31, FREN 0002.31, TURK 0002.31, RUS 0002.31, ESP 0002.31, ITA 0002.31**	**GERM 0001.31, FREN 0001.31, TURK 0001.31, RUS 0001.31, ESP 0001.31, ITA 0001.31**	გერმანული ენა A 1, ფრანგული ენა A 1 თურქული ენა A 1, რუსული ენა A 1, ესპანური ენა A 1, იტალიური ენა A 1.		5							**5**
12.	**GERM 0003.31, FREN 0003.31, TURK 0003.31, RUS 0003.31, ESP 0003.31, ITA 0003.31**	**GERM 0002.31, FREN 0002.31, TURK 0002.31, RUS 0002.31, ESP 0002.31, ITA 0002.31**	გერმანული ენა A 2.0, ფრანგული ენა A 2.0, თურქული ენა A 2.0, რუსული ენა A 2.0, ესპანური ენა A 2.0, იტალიური ენა A 2.0.			5						**5**
13.	**GERM 0004.31, FREN 0004.31, TURK 0004.31, RUS 0004.31, ESP 0004.31, ITA 0004.31**	**GERM 0003.31, FREN 0003.31, TURK 0003.31, RUS 0003.31, ESP 0003.31, ITA 0003.31**	გერმანული ენა A 2, ფრანგული ენა A 2, თურქული ენა A 2, რუსული ენა A 2, ესპანური ენა A 2, იტალიური ენა A 2.				5					**5**

14.	MATH 0003.31		კალკულუს I	5								5
15.	ACWR 0007.31		აკადემიური წერა			5						5
			დარგობრივი სავალდებულო საგნები									105
16.	HIST 0003.31		საქართველოს ისტორია	5								5
17.	GEOG 1170.31		საქართველოს გეოგრაფია	5								5
18.	MGS 1270.31		მენეჯმენტის საფუძვლები		5							5
19.	TR 1271.31		შესავალი ტურიზმში		5							5
20.	GEO 0005.31		სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი		5							5
21.	IHM 1270.31		შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში		5							5
22.	MGS 2112.31	MGS 1270.31	ოპერაციული მენეჯმენტი			5						5
23.	ACCT 2170.31	MATH 0003.31	ფინანსური აღრიცხვა			5						5
24.	TR 2171.31	GEOG 1170.31 HIST 0003.31	საქართველოს ტურისტული რესურსები			5						5
25.	FB 2270.31	IHM 1270.31	კვების და სასმელების მენეჯმენტი				5					
26.	HOSP 2270.31	IHM 1270.31	სასტუმროს მენეჯმენტი				5					5
27.	TRM 2270.31	TR 2171.31	ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები				5					5
28.	TR 2272.31	MATH 0003.31	ტურიზმის სტატისტიკა				5					5
29.	TE 3171.31		ტურიზმის ეკონომიკა					5				5
30.	TCM 3170.31	TRM 2270.31, TR 2171.31	ტურისტული კომპანიის მენეჯმენტი					5				5
31.	TR 3171.31	TRM 2270.31	ღონისძიებების მენეჯმენტი					5				5
32.	SDTE 3170.31	TR 2171.31	ტურიზმის მდგრადი განვითარება და ეკოტურიზმი					5				5

33.	DIS 3171.31		კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები					5				5
34.	TRP 3170.31	TR 2171.31	ტურიზმის პოლიტიკა					5				5
35.	DIS 3270.31	DIS 3171.31	საბაკალავრო ნაშრომი						10			10
			დარგობრივი არჩევითი საგნები									20
36.	TR 3275.31	TR 2171.31	სასწავლო სტაჟირება ტურიზმში						5			5
37.	CRM 3270.31	TR 2171.31	კულტურული რესურსების მენეჯმენტი						5			5
38.	TPM 3270.31	TRP 3170.31, TRM 2270.31	ტურიზმის დაგეგვმა და ადგილის მენეჯმენტი						5			5
39.	ITT 3270.31	TR 2171.31	საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში						5			5
40.	WTR 3270.31		მსოფლიოს ტურისტული რესურსები						5			5
41.	VVT 3270.31	TR 2171.31	ღვინის ტურიზმი						5			5
42.	BC 3270.31	ACWR 0007.31	ბიზნეს კომუნიკაცია						5			5
43.	BUSA 3270.31	MGS 1270.31, TRM 2270.31	ბიზნეს გეგმის განვითარება						5			5
44.	ADT 3270.31	TR 2171.31	სათავგადასავლო ტურიზმი						5			5
45.	TUR 3275.31	TR 2171.31	აგროტურიზმი						5			5
46.	TUR 3276.31	TR 2171.31	გამაჯანსაღებელი ტურიზმი						5			5
47.			თავისუფალი კრედიტი*						5			5
ECTS	სემესტრში	30		30	30	30	30	30	30			
	წელიწადში	60		60		60		60				180

შენიშვნა:

* სტუდენტს შეუძლია დააგროვოს კრედიტები თავისუფალი კრედიტების აღიარების შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2014 წლის 31 მაისის №01/01-68 ბრძანების შესაბამისად. დარგობრივი არჩევითი საგნების კრედიტები ღიაა ბოლო წლის პირველსა და მეორე სემესტრებში, რათა სტუდენტებს შევთავაზოთ მოქნილი სისტემა - სხვადასხვა მოდულებიდან საგნების არჩევა და თუნდაც კონცენტრაციების კომბინაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	ს ა გ ა ნ ი	ECTS კრედიტი\ სთ	საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები
			ლექცია	სემინარი	პრაქტიკული	შუალედ./დასკვნითი გამოცდა	პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება
1.	B1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	2.5/62.5	13	13		4	2	30.5
2.	P1 პროფესიული ინგლისური ენა	2.5/62.5	13	13		4	2	30.5
3.	B1 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	2.5/62.5	13	13		4	2	30.5
4.	P2 პროფესიული ინგლისური ენა	2.5/62.5	13	13		4	2	30.5
5.	B2.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი/ C1.0 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	2.5/62.5	13	13		4	2	30.5
6.	P3 პროფესიული ინგლისური ენა	2.5/62.5	13	13		4	2	30.5
7.	B2 ინგლისური ენა ზოგადინაწილი/C1 ინგლისური ენა ზოგადი ნაწილი	2.5/62.5	13	13		4	2	30.5
8.	P4 პროფესიული ინგლისური ენა	2.5/62.5	13	13		4	2	30.5
9.	კომპიუტერული უნარები	5/125	16	8		4	2	95
10.	გერმანული ენა A 1.0, ფრანგული ენა A 1.0, თურქული ენა A 1.0, რუსული ენა A 1.0, ესპანური ენა A 1.0, იტალიური ენა A 1.0.	5/125	54 26 26 26	28 28 28		4		67
11.	გერმანული ენა A 1, ფრანგული ენა A 1, თურქული ენა A 1, რუსული ენა A 1, ესპანური ენა A 1, იტალიური ენა A 1.	5/125	54 26 26 26	28 28 28		4		67
12.	გერმანული ენა A 2.0, ფრანგული ენა A 2.0, თურქული ენა A 2.0, რუსული ენა A 2.0, ესპანური ენა A 2.0, იტალიური ენა A 2.0.	5/125	54 26 26 26	28 28 28		4		67
13.	გერმანული ენა A 2, ფრანგული ენა A 2, თურქული ენა A 2.0, რუსული ენა A 2.0, ესპანური ენა A 2.0, იტალიური ენა A 2.0.	5/125	54 26 26 26	28 28 28		4		67
14.	კალკულუს 1	5/125	12	12		4	2	95
15.	აკადემიური წერა	5/125	13	11		4	2	95
16.	საქართველოს ისტორია	5/125	16	8		4	2	95

17.	საქართველოს გეოგრაფია	5/125	15	11		4	-	95
18.	მენეჯმენტის საფუძვლები	5/125	15	7		4	4	95
19.	შესავალი ტურიზმში	5/125	12	12		4	2	95
20.	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი	5/125	15	7		4	4	95
21.	ფინანსური აღრიცხვა	5/125	18	6		4	2	95
22.	ოპერაციული მენეჯმენტი	5/125	15	7		4	4	95
23.	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში	5/125	14	10		4	2	95
24.	საქართველოს ტურისტული რესურსები	5/125	16	8		4	2	95
25.	ტურიზმის პოლიტიკა	5/125	17	7		4	2	95
26.	ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები	5/125	15	7		4	4	95
27.	ტურიზმის სტატისტიკა	5/125	15	9		4	2	95
28.	სასტუმროს მენეჯმენტი	5/125	14	10		4	2	95
29.	ტურისტული კომპანიის მენეჯმენტი	5/125	16	8		4	2	95
30.	კულტურული რესურსების მენეჯმენტი	5/125	12	12		4	2	95
31.	კვებისა და სასმელების მენეჯმენტი	5/125	14	10		4	2	95
32.	ტურიზმის ეკონომიკა	5/125	18	6		4	2	95
33.	ტურიზმის დაგეგვმა და ადგილის მენეჯმენტი	5/125	20	4		4	2	95
34.	ღონისძიებების მენეჯმენტი	5/125	10	12		4	4	95
35.	ტურიზმის მდგრადი განვითარება და ეკოტურიზმი	5/125	17	7		4	2	95
36.	კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები	5/125	17	7		4	2	95
37.	საბაკალავრო ნაშრომი	10/250		30				220
38.	სასწავლო სტაჟირება ტურიზმში	5/125	12	12		4	2	95
39.	საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში	5/125	20	4		4	2	95
40.	მსოფლიოს ტურისტული რესურსები	5/125	20	4		4	2	95
41.	ღვინის ტურიზმი	5/125	11	11		4	4	95
42.	ბიზნეს კომუნიკაცია	5/125	13	9		4	4	95

43.	ბიზნესგეგმის განვითარება	5/125	14	8		4	4	95
44.	სათავგადასავლო ტურიზმი	5/125	12	10		4	4	95
45.	აგროტურიზმი	5/125	13	11		4	2	95
46.	გამაჯანსაღებელი ტურიზმი	5/125	17	7		4	2	95

სწავლის შედეგების რუკა

სემესტრი	სასწავლო კურსი / მოდული / პრაქტიკა/კვლევითი კომპონენტი	პროგრამის სწავლის შედეგები							
		სშ. 1. აჩვენებს ტურიზმის სფეროში არსებულ უნარებს და შესაბამისი კომპონენტების საფუძვლიან ცოდნას	სშ. 2. მიმოიხილავს ტურიზმის ინდუსტრიის მართვის ძირითად თეორიებს და კონცეფციებს	სშ. 3. ჰქმნის და განავითარებს პროექტებსა და ბიზნეს გეგმებს ტურიზმის სფეროში	სშ. 4. აფასებს ტურიზმის პოლიტიკისა და ეკონომიკის არსებულ მდგომარეობას და გეგმავს ტურიზმის პოლიტიკას ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე	სშ. 5. იკვლევს და აანალიზებს ტურიზმის საერთაშორისო ბაზრებს, მის მარკეტინგულ სტრატეგიას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე	სშ. 6. მიმოიხილავს საქართველოს ტურისტულ რესურსებს. აფასებს და აანალიზებს მათ მდგომარეობას	სშ. 7. მართავს ტურისტულ კომპანიას და გეგმავს ტურებს	სშ. 8. მართავს სასტუმრო ბიზნესს და ახდენს მის დივერსიფიცირებას
	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი								
I	საქართველოს ისტორია						დაბალი[1]		
I	საქართველოს გეოგრაფია						დაბალი		
I	კალკულუს I								დაბალი
II	შესავალი ტურიზმში	საშუალო[2]	საშუალო		დაბალი				
II	აკადემიური წერა	დაბალი							

[1] სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის **დაბალი (გაცნობა).**

[2] სასწავლო კურსის სწავლის შედეგის ურთიერთმიმართება პროგრამის სწავლის შედეგთან არის **საშუალო (გაღრმავება).**

II	მენეჯმენტის საფუძვლები					დაბალი		დაბალი	
III	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი					საშუალო			
III	ოპერაციული მენეჯმენტი							საშუალო	
III	ფინანსური აღრიცხვა			დაბალი	დაბალი				
IV	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში		დაბალი				დაბალი		მაღალი
IV	საქართველოს ტურისტული რესურსები			დაბალი			მაღალი	საშუალო	
IV	ტურიზმის პოლიტიკა			დაბალი	მაღალი				
IV	ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები				დაბალი	მაღალი		დაბალი	დაბალი
V	ტურიზმის სტატისტიკა და კვლევის მეთოდები		დაბალი		საშუალო				
V	სასტუმროს მენეჯმენტი			საშუალო					მაღალი
V	ტურისტული კომპანიის მენეჯმენტი					საშუალო	საშუალო	მაღალი	
V	კვების და სასმელების მენეჯმენტი		საშუალო						დაბალი
VI	ტურიზმის ეკონომიკა		დაბალი	მაღალი					
VI	ტურიზმის დაგეგვმა და ადგილის		დაბალი	მაღალი	დაბალი				

	მენეჯმენტი								
VI	ღონისძიებების მენეჯმენტი			საშუალო		საშუალო		დაბალი	
VI	ტურიზმის მდგრადი განვითარება		საშუალო		საშუალო				
VI	ეკოტურიზმი		საშუალო		დაბალი			დაბალი	
VII	კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები				დაბალი				
VIII	საბაკალავრო ნაშრომი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი	მაღალი
	სპეციალობის არჩევითი კომპონენტი								

მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები / პროგრამის სწავლის შედეგები	სტუდენტს გამოუმუშავდეს როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული დარგობრივი კომპეტენციები ტურიზმში.	პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულები ჩაერთვიან ტურიზმის ბიზნესში, დასაქმდებენ ტურიზმის მიმართულების,როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებში.	გამოუმუშავდეს ტურიზმის მიმართულებით პროექტების მართვის უნარი. გაეცნოს ქვეყნის ტურისტულ პოტენციალს და რესურსებს.	სტუდენტებმა განსაზღვრონ ტურისტული პრო განვითარების ძირითადი პრინციპები, საერთაშ და ადგილობრივი გაზრდების ტურიზმის პოლი არსებული მდგომარეობის შეფასება და ანალიზ
სშ. 1. აჩვენებს ტურიზმის სფეროში არსებულ უნარებს და შესაბამისი კომპონენტების საფუძვლიან ცოდნას	x	x	x	x
სშ. 2. მიმოიხილავს ტურიზმის ინდუსტრიის მართვის ძირითად თეორიებს და კონცეფციებს	x	x		x
სშ. 3. ჰქმნის და განავითარებს პროექტებსა და ბიზნეს გეგმებს ტურიზმის სფეროში	x		x	
სშ. 4. აფასებს ტურიზმის პოლიტიკისა და ეკონომიკის არსებულ მდგომარეობას და გეგმავს ტურიზმის პოლიტიკას ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო	x	x	x	x

დონეზე;				
სშ. 5. იკვლევს და აანალიზებს ტურიზმის საერთაშორისო ბაზრებს, მის მარკეტინგულ სტრატეგიას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე	X	X	X	X
სშ. 6. მიმოიხილავს საქართველოს ტურისტული რესურსებს. აფასებს და აანალიზებს მათ მდგომარეობას	X			X
სშ. 7. მართავს ტურისტულ კომპანიას და გეგმავს ტურებს	X	X	X	X
სშ. 8. მართავს სასტუმრო ბიზნესს და ახდენს მის დივერსიფიცირებას	X	X	X	X

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის
პროფესორ-მასწავლებელთა რესურს-ბაზა

№	სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი
1.	თეიმურაზ ხუციშვილი	აფილირებული პროფესორი	კალკულუს I
2.	ლევან წიქარიშვილი	აფილირებული ასოცირებული-პროფესორი	შესავალი ტურიზმში; საქართველოს ტურისტული რესურსები; კულტურული რესურსების მენეჯმენტი; ღვინის ტურიზმი
3.	გიორგი ბრეგაძე	აფილირებული პროფესორი	ტურიზმის ეკონომიკა
4.	ნინო თიგიშვილი	აფილიერებული ასისტენტ-პროფესორი	აგროტურიზმი
5.	დავით ბრაგვაძე	მოწვეული ლექტორი	საქართველოს ისტორია
6.	ნინო ჩხაბერიძე	მოწვეული ლექტორი	სათავგადასავლო ტურიზმი
7.	ნადეჟდა მახათაძე	მოწვეული ლექტორი	რუსული ენა A 1.0. რუსული ენა A 1 რუსული ენა A 2.0. რუსული ენა A 2
8.	ეკატერინე გლოველი	აფილირებული ასოცირებული პროფესორი	ტურიზმის სტატისტიკა; კვლევის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მეთოდები
9.	თამარ გეგელიძე	მოწვეული ლექტორი	მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესგეგმის განვითარება
10.	მარინე ლოსაბერიძე	მოწვეული ლექტორი	ფრანგული ენა A 1.0; ფრანგული ენა A 1; ფრანგული ენა A 2.0; ფრანგული ენა A 2
11.	მარიამ ციბაძე	აფილირებული ასისტენტ-პროფესორი	საქართველოს გეოგრაფია
12.	ოლღა შენგელია	ასისტენტ-პროფესორი	ბიზნეს კომუნიკაცია
13.	თამარ ახალბედაშვილი	მოწვეული ლექტორი	შესავალი ტურიზმის მენეჯმენტში; კვებისა და სასმელების მენეჯმენტი; ღონისძიებების მენეჯმენტი
14.	ხათუნა მურჯიკნელი	ასისტენტ-პროფესორი	ტურიზმის მარკეტინგი და საერთაშორისო ბაზრები;
15.	ეთერ შავრეშიანი	ასოცირებული პროფესორი	B1.0 ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი; B1 ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი; B2.0 ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი; B2 ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი; C1.0 ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი; C1 ინგლისური ენა, ზოგადი ნაწილი
16.	ლალი ოქროშიძე	მოწვეული ლექტორი	სასტუმროს მენეჯმენტი
17.	თათია ჩიხლაძე	მოწვეული ლექტორი	ტურიზმის პოლიტიკა
18.	იოჰან ჰენდრიკ კრიტცინგერ	მოწვეული ლექტორი	P1 პროფესიული ინგლისური ენა; P2 პროფესიული ინგლისური ენა; P3 პროფესიული ინგლისური ენა; P4 პროფესიული ინგლისური ენა
19.	აზა ჭანტურია	აფილირებული პროფესორი	კომპიუტერული უნარები
20.	მზია გოგიაშვილი	მოწვეული ლექტორი	თურქული ენა A 1.0; თურქული ენა A 1; თურქული ენა A2.0; თურქული ენა A 2
21.	ანა ახვლედიანი	მოწვეული ლექტორი	ფინანსური აღრიცხვა
22.	თათია ჩოკორაია	ასოცირებული პროფესორი	აკადემიური წერა
23.	ნათია დათუაშვილი	მოწვეული ლექტორი	გერმანული ენა A 1.0; გერმანული ენა A 1; გერმანული ენა A 2.0; გერმანული ენა A 2
24.	ნატო რობიტაშვილი	ასისტენტ-პროფესორი	შესავალი მასპინძლობის მენეჯმენტში; ტურიზმის მდგრადი განვითარება და ეკოტურიზმი
25.	დავით კობახიძე	მოწვეული ლექტორი	საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში
26.	ქეთევან თევზაძე	ასისტენტ-პროფესორი	ტურისტული კომპანიის მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი
27.	თორნიკე ფურცელაძე	მოწვეული ლექტორი	მსოფლიოს ტურისტული რესურსები
28.	თეონა თაბორიძე	ასისტენტ-პროფესორი	სასწავლო სტაჟირება ტურიზმში; გამაჯანსაღებელი

№	სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი
			ტურიზმი; ტურიზმის დაგეგვმა და ადგილის მენეჯმენტი
32.	ამალია მხითარიანი	მოწვეული ლექტორი	ესპანური ენა A 1.0; ესპანური A 1; ესპანური ენა A 2.0; ესპანური ენა A 2
33.	გიული კალატოზიშვილი	მოწვეული ლექტორი	იტალიური ენა A 1.0; იტალიური ენა A 1; იტალიური ენა A 2.0; იტალიური ენა A 2
34.	თინათინ თურქია	ასისტენტ-პროფესორი	სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი